ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა.

13 მარიამობისთვე 1919 წ. ქ. თფილისი

№ 5

ამა წლის 6 მარიამობისთვეს, საღამოს 11 საათზე თბილისის დიდუბის რაიონში საჯინიფოსთან გუშაგმა, სარკინიგზო საყარაულო ათასეულის ჯარისკაცმა ერმილე ბარდვალიძემ, ამავე ათასეულის ჯარისკაცის ბაგრატ გვინეტაძის ჩაგონებით საჯირითო წრის მინდორზე, აღნიშნულ ათასეულის ყაზარმის მახლობლად და ინგლისელ ჯარისკაცთა ყაზარმის მოშორებით თოფით მოჰკლა ინგლისის სამსახურის ნაცვალი ედმონდ მარტინი და დასჭრა მასთან მყოფი ანნა ნიკოლოზის ასული კონიშევი. მკვლელობის შემდეგ, დანაშაულების კვალის დამალვის მიზნით ჯარისკაცი ბარდველიძე ცდილობდა ჩაებარებინა თავისი თოფი ათასეულის უწყობილო გუნდის ბარგსაწყობში, მაგრამ აქ საგუშაგოზე მდგომმა ჯარისკაცმა გაბადავამ არ მიიღო, რადგანაც მიცემული სამ ვაზნის მაგივრად ბარდვალაძემ წარადგინა მხოლოდ ორი. მეორე დღეს ეს თოფი ორი ვაზნით იპოვნეს ამავე საყაზარმო ეზოს მეორე ყაზარმაში ტახტს ქვეშ. თოფის გაშინჯვისას მის ღრუში შემჩნეული იყო ახალი ნამწვი და დენთის სუნი.

წინასწარ გამოძიებაზე გამოკითხვის დროს ჯარისკაცნი გვინეტაძე და ბარდვალიძე მკვლელობას უარს არ ჰყოფდნენ და განაცხადეს, რომ ისინი აღელვებულნი იყვნენ კონიშევის და მარტინის ყოფაქცევით, რომელნიც თავიანთ თავს ნებას აძლევდნენ მისდგომიყვნენ ერთმანეთს ყაზარმის მახლობლად მინდორზე რუვში; მიუახლოვდნენ, რათა აეხსნათ ქალისთვის ასეთ ყოფაქცევის შეუწყნარებლობა, მაგრამ მიახლოვებისას ნაცვალმა მარტინმა მათ დაუმიზნა ლიეერი. მაშინ ბარდვალაძემ გაისროლა თოფი, თუმცა განძრახული არ ჰქონია ინგლისელ ჯარისკაცის მოკვლა.

ყველა ზემოხსენებული საბუთები დამტკიცდა მოწმეთა ჩვენებით; ამასთან მოწმეებმა სხვათა შორის სთქვეს, რომ მკვლელობის ადგილი—საჯირითო წრეზე აღნიშნული ველი—სასეირნო იყო ჯარისკაცთა და მახლობელ მცხოვრებთათვის და მოკლულ მარტინს არ ჰქონია ლიეერი ზედ. მივიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში სამხედრო უწყებისადმი მთავრობის ბრძანების ძალით 1919 წლის ქრისტეშობის 22. № 177, დიდბრიტანეთის სამსახურის ნაცვლის მარტინის განძრახულ მკვლელობის და ანნა კონიშევაზე სასიკვდილოდ წაძალებისთვის, რომელი საქციელებიც გათვალისწინებულია სასჯელთა დებულების 12 და 1456 მუხ. 1 ნაწ., თბილისის № 2 ციხეში მოთავსებულ რკინისგზის საყარაულო ათასეულის ჯარისკაცთ კვინეტაძეს და ბარდვალაძეს მივცემ საგანგებო სამხედრო სასამართლოში, რომელიც დაწესებულია ჯარებისადმი ბრძანებით ამა წლის 17 აპრილს № 3 მე-5-ე ქვეითა რაზმთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღნიშნული საგანგებო სასამართლო საქმის გასარჩევად უნდა შეიკრიფოს 14 მარიამობისთვეს დილის 10 საათზე. რაზმის უფროსს ევალება თავის დროზე გადასცეს სასამართლოს თავმჯდომარეს ბრძანება და საქმე ინგლისელ ჯარისკაცის ედმონდ მარტინის მკვლელობის შესახებ და ნივთიერი სამტკიცებო—გულის ნატეხი; მეორე ნივთიერი სამტკიცო 3 ხაზიანი თოფი, № 225, 044, დაბეჭდილი სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მიერ, აგრეთვე თავის დროზე უნდა იყოს გამოთხოვნილი მოხსენებულ სისხლის სამართლის მილიციის უფროსისაგან.

დანარჩენში იხელმძღვანელეთ 1918 წლის, № 177 ბრძანების მე-2 პარაგრაფით და იმავე ბრძანების პირველ პარაგრაფის 8, 9 10. 11. 12, 13, 14, 15. 17, და 18 პუნკტებით, აგრეთვე ს.-დ. კრ. მე-XXII წიგნის მეოთხე კარის 272-299 მუხლებით, გამოცემა 1915 წ.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე
გენერალი **გედევანიშვილი.**

დარიგდა 15 ოქტომბერს 1919 წ.